ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6452470

ნომერი: AR1965089

თარიღი : 08.05.2023

გაცემის თარიღი : 10.05.2023

გაცნობის თარიღი : 11.05.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N 162;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1965089 განცხადება დამხმარე შენობის განთავსებასთან დაკავშირებით:

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით საზოგადოებრივ საქმიან ზონა-2 (სსზ-2) წარმოადგენს,

განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია:

კ-1 0,5*/0,7 კოეფიციენტი

კ-2 4,6 კოეფიციენტი

კ-3 0,2/0,3* კოეფიციენტი

საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა

მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები მინიმალური ფართობი 700 კვ.მ

მინიმალური სიგანე 20 მეტრი

მინიმალური სიღრმე 30 მეტრი

შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე - მეტრი

შენიშვნა ** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებლი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.

ვინაიდან ნაკვეთი ს/კ N 81.08.16.491 ვერ აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების ყველა პარამეტრს, კერძოდ: - მინიმალურ სიღრმეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს AR1965089 განაცხადის მოთხოვნას;

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.